მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. კაჩაგანში მდებარე წყალსაქაჩი/სატუმბი სადგურიდან სასმელი წყალმომარაგების სამარაგო ავზებამდე არსებული (ამორტიზებული/ფიზიკურად გაცვეთილი) მაგისტრალის რეაბილიტაცია/მშენებლობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო

დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №2

ქ. მარნეული 28.10.2013 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვანო ბურნაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე –კომისიის თავმჯდომარე;

ზაურ ტაბატაძე - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

მალხაზ სამაშვილი -მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;

დავით ხარშილაძე -ეკონომიკური განვითარების და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ვუგარ მამედოვი -საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ლერი ფანგანი – ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი;

ვალერი მეტრეველი - მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახურის უფროსი;

დღის წესრიგი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ. კაჩაგანში მდებარე წყალსაქაჩი/სატუმბი სადგურიდან სასმელი წყალმომარაგების სამარაგო ავზებამდე არსებული (ამორტიზებული/ფიზიკურად გაცვეთილი) მაგისტრალის რეაბილიტაცია/მშენებლობის სამუშაოების **საკონკურსო განცხადება განთავსდა 18-10-2013 წელს 19:14 საათზე, საკონკურსო წინადადების მიღების ბოლო ვადად მითითებული იყო 25.10.2013 წ. 12:00 სთ.**

აღნიშნული დროისათვის საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა კონკურსანტმა: შპს ,,LMC“ – 9 900 ლარი და შ.პ.ს. ,,აი-თენ “ – 6 900 ლარი.

საკონკურსო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი კონკურსანტების საკონკურსო დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ კონკურსში უმცირესი ფასი წარმოადგინა შ.პ.ს ,,აი-თენ“-მა შესაბამისად კომისია სრული შემდგენლობით თვლის, რომ სამართლებრივად შემსყიდველი ორგანიზაციის კუთვნილი სახსრების ხარჯვის რაციონალურობის პრინციპიდან და საპროექტო მომსახურების სავალდებულო 10 დღიანი ვადის შესრულებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია უპირატესობა მიენიჭოს ამ უმცირესი ფასის მქონე კონკურსანტს იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს – საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცი(ებ)ის შედგენის ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტაციას (წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი ანალოგიური მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ხელშეკრულებ(ებ)ის და მიღება–ჩაბარების აქტ(ებ)ის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სათანადო წესით დამოწმებული ასლ(ებ)ი)...

<u>კომისიამ იხელმძღვანელა, რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით", დაადგინა:</u>

1. გაეგზავნოს შეტყობინება შ.პ.ს ,,აი-თენ"–ს, რათა მოქმედი შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სათანადო წესით დამოწმებული ასლების შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენა.
2. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატის წევრს ზანდა კვანჭიანს შეტყობინების წერილი და ოქმი ხელმოწერისთანავე დასკანერებული სახით გაუგზავნოს სააგენტოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

კომისიის თავმჯდომარე ვანო ბურნაძე

კომისიის წევრები

ზაურ ტაბატაძე

დავით ხარშილაძე

მალხაზ სამაშვილი

ვუგარ მამედოვი

ლერი ფანგანი

ვალერი მეტრეველი